

მე-7 კლასი ძირითადი დავალებები (100 ქულა)

ალგებრა

- (8 ქულა)** იპოვეთ x , თუ $5 + 3x \leq 3 + 4x \leq 7 + 2x$
A. 5 B. 3 C. 2
- (8 ქულა)** სამი შოკოლადი და ხუთი ქადა ერთად 15 ლარი ღირს. რა ღირს ერთი შოკოლადი, თუ ის 20 თეთრით ძვირია ქადაზე?
A. 160 თეთრი B. 2 ლარი C. 220 თეთრი
- (8 ქულა)** იპოვეთ რიცხვი, რომლის მესამედი 13-ით ნაკლებია ამ რიცხვის ნახევარზე.
A. 42 B. 66 C. 78

გეომეტრია

- (8 ქულა)** AB მონაკვეთის სიგრძე 12-ის ტოლია. AB წრფეზე რამდენი ისეთი C წერტილი არსებობს, რომლისთვისაც $AC + CB = 12$
A. უსასრულოდ ბევრი B. ორი C. ერთი
- (10 ქულა)** A, B, C და D წერტილები ერთ წრფეზე მდებარეობს. $CD = 5, DA = 3, BD = 5$. ამ წერტილებიდან რომლებია კიდეებში?
A. D და A B. C და B C. A და C
- (10 ქულა)** l წრფე კვეთს AB, AE, BD და EC მონაკვეთებს. ჩამოთვლილებიდან კიდე რომელ მონაკვეთებს გადაკვეთს ის აუცილებლად?
A. DE და BC B. DE და AC C. BC და BE

ლოგიკა

- (11 ქულა)** მაქსიმუმ რამდენი მომდევნო რიცხვი შეიძლება დავასახელოთ ისე, რომ არც ერთი მათგანის ჩანაწერში არ იყოს ორი ერთნაირი ციფრი?
A. 10 B. 11 C. 99
- (12 ქულა)** მართკუთხედიდან, რომლის გვერდების სიგრძეებია 9სმ და 8 სმ, მაქსიმუმ რამდენ ცალ ისეთ მართკუთხედს გამოვჭერთ, რომელთა გვერდების სიგრძეებია 5სმ და 3სმ?
A. 3 B. 4 C. 5

რიცხვთა თეორია

- (12 ქულა)** რამდენჯერ გაიზრდება სამნიშნა რიცხვი, თუ მარჯვნიდან მიუწეროთ იმავე სამნიშნა რიცხვს?
A. 11-ჯერ B. 101-ჯერ C. 1001-ჯერ
- (13 ქულა)** იპოვეთ სამნიშნა რიცხვი, რომელიც 55-ის ტოლი გახდება, თუ გავყოფთ მის ბოლო ციფრზე.
A. 275 B. 375 C. 555

ბონუს დავალებები (20 ქულა)

ბონუს ქულა ჯამურ შედეგს დაემატება იმ შემთხვევაში, თუ მონაწილე ტესტის ძირითად ნაწილში დაკარგავს ქულას.

- კითხვა ფინანსური განათლებიდან: (5 ქულა)** ბანკში გაცვლითი კურსია 1 დოლარი = 2,97 ლარი, ხოლო სავალუტო ჯიხურში 1 დოლარი = 2,95 ლარი. თუკლამ ბანკში 1200 დოლარით შესაბამისი ოდენობის ლარი შეიძინა. რამდენ ლარს იზარალებდა თუკლა, თუ ის ბანკის ნაცვლად სავალუტო ჯიხურს მიაშურებდა?
A. 24 ლარს B. 12 ლარს C. 30 ლარს
- „თიბისის“ კითხვა: (5 ქულა)** ირინას თიბისი ბანკის ანგარიშზე ერთჯერადი ხელფასი, ყოველთვიურად 500 ლარი. რამდენი ლარი დაუგროვდება მას ამ ანგარიშზე 2 თვის შემდეგ, თუ მან ამ თანხიდან მხოლოდ 200 ლარი დახარჯა?
A. 800 B. 1000 C. 1200
- Cavea-ს კითხვა: (5 ქულა)** კავას თბილისი მოლის ფილიალში 5 დარბაზია. ჯამში რამდენი ადგილია ამ ფილიალში, თუ საშუალოდ, თითო დარბაზში 156 ადგილია?
A. 730 B. 780 C. 700
- „მაგთის“ კითხვა: (5 ქულა)** თორნიკეს მშობლებმა შეიძინეს მაგთის ტელევიზორისა და ინტერნეტის პაკეტი და საჩუქრად მიიღეს უფასო ზარები მაგთის ნომრებზე ოჯახის წევრებს შორის. სულ რამდენ ზარს განახორციელებენ ოჯახის წევრები, თუ სულ სამი არიან და თითოეული მათგანი ყველა დანარჩენს თითოჯერ დაურეკავს?
A. 6 B. 3 C. 9

*გაეცი მაგთის ბონუს კითხვას სწორი პასუხი, გახდი მაგთის აკადემიური კლუბის წევრი და მიიღე უფასო სიმ ბარათი, სიგელი, ყოველთვიური 100მბ, 100 SMS და 30 წუთი საჩუქრად.

*გაეცი თიბისის ბონუს კითხვას სწორი პასუხი და აიღე მოსწავლის #1 ბარათი, კინგის დიზაინით, უფასოდ, თიბისი ბანკის ნებისმიერ ფილიალში.